

DisboPOX W 443 2K-EP-Grundierung



გამჭვირვალე 2 კომპონენტური - ეპოქსიდური ფისის საგრუნტავი მასალა, წყლის საფუძველზე. მინერალური ზედაპირების მქონე იატაკების - დასაგრუნტად და გასაჟღენთად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

უფრო გამძლე მინერალური ზედაპირების მქონე იატაკებისათვის და წყლის საფუძველზე არსებული ეპოქსიდური დანაფარების მქონე იატაკების ქვეშ - საგრუნტი სამუშაოების შესასრულებლად. ემისიის (გაფრქვევა) შემამცირებელი ფორმულის წყალობით, DisboPOX W 443 განსაკუთრებით შესაფერისია „მგრძნობიარე“ სფეროებში გამოსაყენებლად, მაგალითად: მოხუცთა თავშესაფარები, სავადმყოფოები, სამედიცინო დაწესებულებები და მოსაცდელი ოთახები, საბავშვო ბაღები და სკოლები. შემონმბეულია მავნე ნივთიერებებზე.

თვისებები

- ორთქლდიფუზიური
- შესაფერისია მქრქალი, ნამიანი ცემენტის ზედაპირებისთვის
- შემცირებული ემისიები შემადგენლობაში
- შემონმბეულია და კონტროლდება მავნე ნივთიერებებზე

პროდუქტი შემონმბეულია სამშენებლო მასალების სანიტარულ-ჰიგიენური შეფასების კომიტეტის (AgBB) კრიტერიუმების შესაბამისად - ემისიაზე (გაფრქვევა) და აქროლადი ორგანული შენაერთების ემისიაზე (VOC). AgBB-ის შეფასების სქემა შემუშავდა გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ - მგრძნობიარე სივრცეებში სამშენებლო მასალების გამოყენებისთვის.

მასალის შემკვრელი

2 კომპონენტური - ეპოქსიდური ფისი, წყლის საფუძველზე

შეფუთვა

5 კგ, 10 კგ, პლასტმასის კომბინირებული კონტეინერი

ფერი

გამჭვირვალე

ულტრაიისფერი გამოსხივების და ამინდის ზემოქმედებისას, შესაძლებელია ფერის და ფაქტურის ცვლილება. ასევე ორგანულმა საღებავებმა (მაგალითად: ყავა, წითელი ღვინო და ფოთლები), ან ქიმიურმა ნივთიერებებმა (მაგალითად: სადეზინფექციო საშუალებები, მჟავები და ა.შ.) შესაძლოა გამოიწვიოს ფერის ცვლილება. ეს არ ახდენს გავლენას მასალის ეფექტურობასა და ექსპლუატაციის თვისებებზე.

სიპრიალის ხარისხი

პრიალა

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას. ორიგინალ/დახურულ შეფუთვაში შენახული პროდუქტის ვარგისიანობის ვადა სულ მცირე 1 წელია. დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში, გამოყენებამდე მასალა შეინახეთ დაახლ. 20°C ტემპერატურაზე.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმჭიდროვე: დაახლ. 1,0 გ/სმ3
- მშრალი ფენის სისქე: დაახლ. 30 µm/100 გ/მ2
- დიფუზიის მიმართ წინააღმდეგობის მაჩვენებელი µ (H2 O): დაახლ. 38.000



გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	შიდა სივრცეებში მინერალური ზედაპირები (მათ შორის: ბეტონის, ცემენტის, ანჰიდრიტის იატაკები) უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან. ზედაპირს უნდა ჰქონდეს დატვირთვის უნარი, ჰქონდეს სტაბილური ფორმა, იყოს მყარი, თავისუფალი ფხვიერი ნაწილაკებისგან, მტვრისგან, ზეთისგან და ცხიმებისგან. მასალის დატანამდე - ცემენტის ზედაპირზე, რომელიც დამუშავებულია სინთეზურად გაძლიერებული გამათანაბრებელი მასალით, საჭიროა თავდაპირველად საცდელი ფენის დატანა, რათა დადგინდეს მასალების თავსებადობა. მყარი მასალის ხისტი იატაკები და ზედაპირები, რომლებიც მუშავდება ქიმიური დანამატებით, საჭიროებს ინტენსიურ მექანიკურ მომზადებას. საჭიროების შემთხვევაში დაამუშავეთ საცდელი ნაკვეთი. ზედაპირებმა უნდა მიაღწიონ თანაბარ ტენიანობას: ბეტონი და ცემენტი: მაქს. წონის 4% (CM-ის მეთოდი, არ ვრცელდება DisboPOX W 453-ის შემდგომ საფარად გამოყენებისას) ანჰიდრიტის საფარი: მაქს. წონის 1.0% (CM-ის მეთოდი). ტესტირების მეთოდები აღწერილია "DafStb" სახელმძღვანელოს მე -3 ნაწილში.
ზედაპირის მომზადება	დაამუშავეთ ზედაპირი განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. ძლიერად დაბინძირებული, არამზიდი ზედაპირები, მაგალითად: გამყოფი ნივთიერებების მქონე ზედაპირები (ზეთები, ცხიმები, მტვერი, ფხვიერი ნაწილაკები და ა.შ) და ასევე მინის მსგავსი ცემენტის ქვა, საჭიროებს ინტენსიურ მექანიკურ მომზადებას. მცირე დეფექტები და ბზარები შეავსეთ Disbocret®-PCC-Mörtel-ით ან Disboxid EP-Mörtel-ით. სილიკონის შემცველი მასალების გამოყენება არ შეიძლება მთელი პროცესის განმავლობაში, რადგან მათ შეუძლიათ დააზიანონ ზედაპირი. აუცილებელია დაცული იყოს: BEB სამუშაო ფურცელი KH-0 / U *-ის და BEB სამუშაო ფურცელი KH 1 *-ის და ასევე 2.5 ცხრილის ; ბეტონის ელემენტების აღდგენის და დაცვის დირექტივები! სარემონტო სახელმძღვანელოს „რკინაბეტონის გერმანიის კომისიის“ მე -2 ნაწილი. * ფედერალური ასოციაცია Estrich und Belag e.V., 53842 Troisdorf-Oberlar
მასალის მომზადება	კომპონენტი B (გასამყარებელი) დაამატეთ კომპონენტს A (ძირითადი მასა). ინტენსიურად შეურიეთ, ნელა მბრუნავ სარევი (მაქსიმუმ 400 ს/წთ.) მასალა გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში (საცავში), საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ წყალი (მაქსიმუმ 5%) გამსხნელად და კვლავ საფუძვლიანად აურიეთ.
შერევის კოეფიციენტი	კომპონენტი A (ძირითადი მასა) : კომპონენტი B (გასამყარებელი) = 4 : 1 ნაწილები წონის მიხედვით
დატანის მეთოდები	ფუნჯი, დაბალ ბეწვიანი გორგოლაჭი ან უჰაერო მიფრქვევის (Airless) დანადგარი. გამოყენებისას მასალა საჭიროებს ხშირ ამორევას. მასალის გამჟღენთის სახით გამოყენებისას, მიმდინარეობს ქიმიური პროცესი, რის შედეგადაც ზედაპირის ტემპერატურა იმატებს. არათანაბრად შემწოვ ზედაპირზე შესაძლოა ფერის და სიპრიალის ხარისხის ცვლილება. ერთგვაროვანი იერსახის მისაღებად საჭიროა „სველი-სველზე“ მეთოდით მუშაობა. დიდი მოცულობის ზედაპირებზე საჭიროა რამოდენიმე ადამიანის ერთობლივი მუშაობა ან ზედაპირის მცირე ნაკვეთებად დაყოფა. მასალის ფენის სისქის უკიდურესმა გადაჭარბებამ, შესაძლოა გამოიწვიოს გამყარების პროცესის რღვევა და მასალის აქერცვლა. მინერალური ზედაპირების გაჟღენთისთვის / დალუქვისთვის, ზედაპირის შეწოვის უნარის და სასურველი ფენის სისქის მიხედვით - მასალა გაზავეთ არაუმეტეს წონის 5% წყლით. უაჰერო (Airless) მიფრქვევის შესაბამისი ნახვრეტის/საქშენის ზომა: 0,008 ინჩი.
დაფარვის სტრუქტურა	კარგად შემწოვ/მზიდ მინერალურ ზედაპირზე, წყალდისპერსიული მასალის დატანამდე DisboPOX W 443-ით საგრუნტი სამუშაოების შესრულება: მასალა დაიტანება ფუნჯით, თანაბრად, შეუჩერებლად და ინტენსიურად. კარგად შემწოვი/მზიდი მინერალური ზედაპირების გაჟღენთვა/დალუქვა: დაიტანეთ მასალა ერთ ან ორ ფენად. პირველი ფენა დაიტანება ფუნჯით, მეორე ფენა დაბალ ბეწვიანი გორგოლაჭით ან უაჰერო მიფრქვევის დანადგარით.
ხარჯი	შემწოვი/მზიდი ზედაპირები: დაახლ. 200გ/მ2 გაზავებული ან განუზავებელი მასალა - ერთ ფენაზე. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.
გამოყენების დრო	20 °C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში დაახლ. 60 წუთი. მაღალი ტემპერატურის პირობებში გამოყენების დრო მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.
გამოყენების პირობები	მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა: მინიმალური - 12 ° C, მაქსიმალური - 30 ° C. ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 80%.-ს. ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ 3 ° C-ით უნდა აღემატებოდეს ნამის წერტილის ტემპერატურას. შრობის დროს იზრუნეთ სამუშაო სივრცის მუდმივ განიავებაზე, ვინაიდან წყლის აორთქლებამ შესაძლოა გამოიწვიოს ჰაერის ტენიანობის ზრდა. მოერიდეთ ორპირს.

შრობის დრო ხელსაწყოების წმენდა	სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი, 20 ° C ტემპერატურის პირობებში: მინიმალური - 16 საათი, მაქსიმალური - 24 საათი. ეს ასევე ეხება პიგმენტირებულ, დიფუზიურ დანაფარებს. უფრო ხანგრძლივი ლოდინის შემთხვევაში, ზედაპირი უნდა გაიმლიფოს შემდგომი ფენის დატანამდე. მაღალი ტემპერატურის პირობებში ლოდინის პერიოდი მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება. 20 ° C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 16 საათში. შრება და მზადაა დატვირთვების ასატანად 7 დღეში. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება. გამყარების/გამაგრების პერიოდში (დაახლ. 24 საათი, 20 ° C ტემპერატურის პირობებში) დაიცავით დატანილი მასალა ტენიანობისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დაზიანდეს ზედაპირი და შემცირდეს ადჰეზია. სამუშაოს დასრულებისას, ან ხანგრძლივი შესვენების დროს, ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გარეცხეთ წყლით და საპნით.
--	---

მიითითებები

სერთიფიკატები უსაფრთხო მოხმარების წესები	აქტუალური სერთიფიკატები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში. პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ სამრეწველო და პროფესიული მოხმარებისთვის. კომპონენტი A (ძირითადი მასა) : ინვექს სერიოზულ თვალის დაზიანებას - ატარეთ დამცავი სათვალე. თვალთან კონტაქტისას: რამოდენიმე წუთის მანძილზე, ღია თვალები გამოიბანეთ სუფთა წყლით. ამოიღეთ საკონტაქტო ლინზები. განაგრძეთ თვალის ბანვა და სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს. შეიცავს: ეპოქსიდური ფისი ამინის დანამატებით. კომპონენტი B (გასამყარებელი) : სითხე და ორთქლი აალებადია. ინვექს კანის გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია. ინვექს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს გენეტიკური დეფექტები. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის. გამოყენებამდე გაეცანით ინსტრუქციას. მოარიდეთ სიცხეს, მხურვალე ზედაპირებს, ნაპერწკალს, ღია ცეცხლს და სხვა აალების წყაროებს. ნუ შეჭამთ, დალევთ ან მოსწევთ სამუშაოების მსვლელობის დროს. გამოიყენეთ მხოლოდ კარგად ვენტილირებად ან ღია სივრცეებში. იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე. მოარიდეთ თვალებთან კონტაქტს, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. არ დაუშვათ ზედაპირულ წყლებში ან ნიადაგში მოხვედრა. ატარეთ დამცავი ხელთათმანები / დამცავი ტანსაცმელი / დამცავი სათვალეები / სახის დაცვა. შეიცავს: რეაქციის პროდუქტი: ბისფენოლ-ა-ეპიქლოროჰიდრინის ფისები საშუალო მოლეკულური წონის ≤ 700, ბისფენოლ-F- ეპოქსიდური ფისი MW <700, 2,3-ეპოქსიპროპილის ნეოდეკანოატი.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით.
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/I): 140 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 50 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი	GISCODE: RE 1
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. შპს კაპაროლ ჯორჯია აღ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო, ელ-ფოსტა: office@caparol.ge www.caparol.ge

CE-მარკირება

	
Disbon GmbH Roßdörfer Straße 50, D-64372 Ober-Ramstadt	
08 DIS-443-001235 EN 13813:2002	
სინთეზური ფისოვანი საფარი ინტერიერში გამოსაყენებლად EN 13813:SR-E _{fl} -B1,5-AR1-IR4	
აალების კოეფიციენტი	E _{fl}
კოროზიული ნივთიერებების გამოყოფა	SR
წყლის გამტარიანობა	NPD
ცვეთამდეგობა	≤ AR1
გაჭიმვის ადჰეზიური მედეგობა	≥ B1,5
დარტყმის მიმართ მედეგობა	≥ IR4